გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 71

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია მერის ინიციატივა ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში მდებარე გეოგრაფიული ობიექტს - ქუჩას, საწყისი კოორდინატი: X 427524.1; Y 4647355.1 საბოლოო კოორდინატი: X 427778.2; Y 4647209.9 ჩრდილოეთი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.45.23.542; 66.45.23.590; 66.45.23.589; სამხრეთი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.45.31.490; სააქციო საზოგადოება "ენერგო-პრო ჯორჯია" 66.45.31.382; 66.45.31.461; 66.45.31.462; 66.45.31.355; აღმოსავლეთი შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" 66.45.23.104. დასავლეთი თამარ მეფის ქუჩა. სავარაუდო სიგრძე 297 მ, მდებარეობს თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებული გზის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ეწოდოს თამარ მეფის ქუჩა.

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2024 წლის 22 მარტის N41 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, შესაბამისად:

1. ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში მდებარე გეოგრაფიული ობიექტს - ქუჩას, საწყისი კოორდინატი: X 427524.1; Y 4647355.1 საბოლოო კოორდინატი: X 427778.2; Y 4647209.9 ჩრდილოეთი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.45.23.542; 66.45.23.590; 66.45.23.589; სამხრეთი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: 66.45.31.490; სააქციო საზოგადოება "ენერგო-პრო ჯორჯია" 66.45.31.382; 66.45.31.461; 66.45.31.462; 66.45.31.355; აღმოსავლეთი შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" 66.45.23.104. დასავლეთი თამარ მეფის ქუჩა. სავარაუდო სიგრძე 297 მ, მდებარეობს თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებული გზის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს თამარ მეფის ქუჩა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**